www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს ადგილობრივი ექსპორტი

2023 წლის იანვარი-ივლისი (წინასწარი შედეგები)

21.08.2023
www.geostat.ge

21.08.2023

ადგილობრივი ექსპორტი (ექსპორტი რეექსპორტის გარეშე)
2023 წლის იანვარი-ივლისი
(წინასწარი)

2023 წლის იანვარ-ივლისში საქართველოდან განხორციელებული საქონლის ექსპორტის მოცულობამ (არადეკლარირებული ექსპორტის გარეშე) 3 583.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 15.9 პროცენტით მეტია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. ადგილობრივი ექსპორტი (ექსპორტი რეექსპორტის გარეშე), მთლიანი ექსპორტის 48.2 პროცენტს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 22.0 პროცენტით შემცირდა და 1 728.2 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს შესაბამისი მაჩვენებლების განვითარების ტენდენციას 2020-2023 წლებში.

ექსპორტის ტენდენციები საქართველოში 2020-2023 წლების იანვარ-ივლისში
(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

● ექსპორტი, სულ ● ადგილობრივი ექსპორტი

21.08.2023

საქართველოდან განხორციელებული ექსპორტი 2020-2023 წლების იანვარ-ივლისში

(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

**პროცენტით მოცემულია ადგილობრივი ექსპორტის (ექსპორტი რეექსპორტის გარეშე) წილი მთლიან ექსპორტში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილი ასახავს საქართველოდან 2021-2023 წლებში განხორციელებული ადგილობრივი ექსპორტის ყოველთვიურ დინამიკას აბსოლუტურ მაჩვენებლებში, ასევე მათ პროცენტულ ცვლილებას წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით.

საქართველოდან განხორციელებული ადგილობრივი ექსპორტი

		ათასი აშშ დოლარი	ცვლილება (%)
2021	იანვარი	166 440.5	-6.4
	თებერვალი	199 964.2	21.7
	მარტი	238 032.9	24.0
	აპრილი	276 912.5	60.4
	მაისი	240 028.1	32.6
	ივნისი	258 009.4	34.4
	ივლისი	280 525.7	46.1
	აგვისტო	236 252.9	15.6
	სექტემბერი	270 255.5	10.4
	ოქტომბერი	318 317.7	34.1
	ნოემბერი	325 235.9	44.1
	დეკემბერი	317 563.7	41.7

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

21.08.2023

		ათასი აშშ დოლარი	ცვლილება (%)
2022	იანვარი	231 573.0	39.1
	თებერვალი	323 932.2	62.0
	მარტი	329 458.7	38.4
	აპრილი	321 567.1	16.1
	მაისი	389 688.4	62.4
	ივნისი	282 735.8	9.6
	ივლისი	336 099.1	19.8
	აგვისტო	263 740.0	11.6
	სექტემბერი	324 284.0	20.0
	ოქტომბერი	290 320.0	-8.8
	ნოემბერი	301 563.5	-7.3
	დეკემბერი	297 917.6	-6.2
2023*	იანვარი	258 829.5	11.8
	თებერვალი	238 392.9	-26.4
	მარტი	269 136.7	-18.3
	აპრილი	220 308.5	-31.5
	მაისი	242 132.6	-37.9
	ივნისი	245 972.2	-13.0
	ივლისი	253 382.9	-24.6

*წინასწარი მონაცემები.

21.08.2023

2023 წლის იანვარ-ივლისში ათი უმსხვილესი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ადგილობრივ ექსპორტში 76.2 პროცენტი შეადგინა. ამ მხრივ, უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორებია: რუსეთი (323.6 მლნ. აშშ დოლარი), თურქეთი (236.7 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (217.5 მლნ. აშშ დოლარი).

უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნები ადგილობრივ ექსპორტში

ქვეყნის დასახელება	2022 წლის იანვარი-ივლისი		2023* წლის იანვარი-ივლისი		ცვლილება (%)
	ათასი აშშ დოლარი	წილი (%)	ათასი აშშ დოლარი	წილი (%)	
სულ	**2 215 054.4**	**100.0**	**1 728 155.2**	**100.0**	**-22.0**
მათ შორის:					
რუსეთი	286 490.9	12.9	323 628.1	18.7	13.0
თურქეთი	274 275.8	12.4	236 699.2	13.7	-13.7
ჩინეთი	447 622.6	20.2	217 484.1	12.6	-51.4
ბულგარეთი	233 230.8	10.5	153 182.4	8.9	-34.3
სომხეთი	103 287.5	4.7	93 548.4	5.4	-9.4
აზერბაიჯანი	72 883.0	3.3	83 839.2	4.9	15.0
ესპანეთი	26 045.9	1.2	65 748.6	3.8	152.4
შვეიცარია	53 613.7	2.4	50 601.2	2.9	-5.6
პერუ	103 271.0	4.7	48 399.0	2.8	-53.1
აშშ	181 534.5	8.2	43 660.4	2.5	-75.9
დანარჩენი ქვეყნები	432 798.7	19.5	411 364.6	23.8	-5.0

*წინასწარი მონაცემები.

2023 წლის იანვარ-ივლისში ადგილობრივი ექსპორტის ათეულში პირველ ადგილზე სპილენძის მადნები და კონცენტრატები არის წარმოდგენილი 375.5 მლნ. აშშ დოლარით, აღნიშნული სასაქონლო ჯგუფის წილი მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 21.7 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილზეა ყურძნის ნატურალური ღვინოები 149.8 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 8.7 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილს იკავებს ფეროშენადნობები 111.2 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 6.4 პროცენტი).

21.08.2023

უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო პოზიციები ადგილობრივ ექსპორტში

საქონლის დასახელება	2022 წლის იანვარი-ივლისი		2023* წლის იანვარი-ივლისი		ცვლილება (%)
	ათასი აშშ დოლარი	წილი (%)	ათასი აშშ დოლარი	წილი (%)	
სულ	**2 215 054.4**	**100.0**	**1 728 155.2**	**100.0**	**-22.0**
მათ შორის:					
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	620 888.5	28.0	375 503.5	21.7	-39.5
ყურძნის ნატურალური ღვინოები	120 679.4	5.4	149 838.7	8.7	24.2
ფეროშენადნობები	348 305.1	15.7	111 218.9	6.4	-68.1
აზოტოვანი სასუქები	182 650.7	8.2	106 817.8	6.2	-41.5
ელექტროენერგია	64 725.3	2.9	80 130.9	4.6	23.8
მინერალური და მტკნარი წყლები, შაქრის დანამატების გარეშე	55 023.5	2.5	77 058.8	4.5	40.0
წყლები, მინერალურისა და დაგაზიანებულის ჩათვლით, შაქრის დანამატების შემცველობით	41 010.0	1.9	66 575.4	3.9	62.3
სპირტიანი სასმელები	43 389.0	2.0	53 922.9	3.1	24.3
ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრადდამუშავებული, ან ფხვნილის სახით	49 902.5	2.3	52 080.0	3.0	4.4
ტრიკოტაჟის ნაწარმი	50 752.7	2.3	48 040.4	2.8	-5.3
დანარჩენი საქონელი	637 727.7	28.8	606 968.0	35.1	-4.8

*წინასწარი მონაცემები.

წყარო:

სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური;

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა";

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი";

შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია".

გამოყენებული პირობითი აღნიშვნები:

- მოვლენა არ არსებობს;

* მონაცემები წინასწარია და ექვემდებარება დაზუსტებას ინფორმაციულ წყაროებში და მეთოდოლოგიაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში;

... მონაცემები კონფიდენციალურია.

0.0 მაჩვენებლის სიდიდე უმნიშვნელოა

შენიშვნა:

1. ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით;

2. ინფორმაცია არ მოიცავს გამარტივებული საბაჟო დეკლარაციების (ფორმა №4) მონაცემებს;

3. ინფორმაცია არ მოიცავს არაორგანიზებულ ვაჭრობას; ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიებს;

4. საერთაშორისო მეთოდოლოგიების შესაბამისად საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა და საბაჟო სტატისტიკა განსხვავებულად ახდენს სასაქონლო ნაკადების მოცვას. კერძოდ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში არ აისახება დროებითი დიპლომატიური სატრანზიტო და სხვა ანალოგიური სახის ტვირთები.

წინასწარი მონაცემების კორექტირება ხორციელდება საქსტატის მიერ შემუშავებული სტატისტიკური ინფორმაციის გადასინჯვის პოლიტიკის შესაბამისად (რეგულარული გადასინჯვის პრინციპის საფუძველზე) რესპონდენტების/ ადმინისტრაციული წყაროების მიერ მონაცემების დაზუსტების შედეგად.

ადგილობრივი ექსპორტი მოიცავს როგორც ქვეყანაში წარმოებული, ისე საზღვარგარეთიდან იმპორტირებული იმ საქონლის ექსპორტს, რომელმაც განიცადა არსებითი სახეცვლილება ან ქვეყნის ფარგლებში გადამუშავების შედეგად მოხდა მისი ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდა.

საკონტაქტო პირები:

ბადრი კვაჭაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (300)
E-mail: bkvachadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020)
E-mail: mkavelashvili@geostat.ge